

მდინარე ალგეთის თევზების მრავალფეროვნება, პოპულაციური
სტრუქტურა და კაშხლის გავლენა მდინარის იქთიოფაუნის სახეობრივ
შემადგენლობაზე

გიორგი რამაზაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ბელა ჯაფოშვილი

თანახელმძღვანელი: დოქტორანტი გიორგი ეპიტაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი რამაზაშვილი

სარჩევი

აბსტრაქტი.....	iv
ცხრილების ჩამონათვალი	vi
გრაფიკების ჩამონათვალი	vi
ილუსტრაციების ჩამონათვალი.....	vi
1. შესავალი.....	1
1.2 კვლევის მიზანი და ამოცანა.....	3
2. კვლევის ობიექტი და მეთოდები	5
2.1 ლიტერატურის მომოხილვა	5
2.2 მდინარე ალგეთის დახასიათება	9
2.3 ალგეთის წყალსაცავის დახასიათება	9
2.4 მასალა და მეთოდები.....	11
3. კვლევის შედეგები და მათი განხილვა.....	16
3.1 მდინარე ალგეთისა და ალგეთის წყალსაცავის თევზების სახეობრივი მრავალფეროვნება.	16
3.2 მდინარე ალგეთის თევზები წყალსაცავის ზემო დინებაში	18
3.3 ალგეთის წყალსაცავის თევზები.....	20
3.4 მდინარე ალგეთის თევზები წყალსაცავის კაშხლის ქვემო დინებაში.....	29
3.5 მდინარე ალგეთისა და ალგეთის წყალსაცავზე მოქმედი ანთროპოგენური ფაქტორები	33
4. დასკვნა და მსჯელობა	36
მადლობა	39
გამოყენებული ლიტერატურა.....	40

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, რომელიც აღწერს მდინარე ალგეთისა და ალგეთის წყალსაცავის თევზების სახეობრივ შემადგენლობას, მათ სტრუქტურასა და მათზე მოქმედ ფაქტორებს. აღნიშნული კვლევა განხორციელდა 2020-2021 წლებში, როგორც მდინარე ალგეთზე, ასევე ალგეთის წყალსაცავზე. კვლევის შედეგად განისაზღვრა, აღნიშნული წყალსატევების თევზების სახეობრივი შემადგენლობა, რომლებზეც თანამედროვე ინფორმაცია არ არსებობდა. მდინარე ალგეთსა და ალგეთის წყალსაცავზე აღებული მონაცემების საფუძველზე, გამოიკვეთა თევზის 17 სახეობა, რომლებიც დაიყო: ადგილობრივ, ინვაზიურ/ინტროდუცირებულ და წითელი ნუსხის სახეობებად. კვლევის შედეგად, ალგეთის წყალსაცავში დაფიქსირდა აღმოსავლეთ საქართველოსთვის უცხო სახეობა მდინარის ქორჭილა - *Perca fluviatilis* (Linnaeus, 1758) და მდინარე ალგეთში დაფიქსირდა საქართველოს წყლებისთვის უცხო სახეობა კორეული კარპი - *Hemiculter leucisculus* (Basilewsky, 1855). აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმაზე, თუ როგორ იმოქმედა მდინარე ალგეთში გავრცელებულ თევზის სახეობებზე გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენებულმა კაშხალმა, რომელსაც თევზსავალი არ გააჩნია.

Abstract

Presented study describes species composition of the Algeti River and the Algeti Reservoir, their structure and the factors affecting them. This study was carried out in 2020-2021 years. As a result of our research current fish species composition of these water reservoirs was determined, there was not any updated information on this issue before our study.

Based on the data taken from the Algeti River and Algeti Reservoir, 17 fish species has been identified, which were divided into: local, invasive / introduced and red list species. In the Algeti Reservoir, alien species for Eastern Georgia – European perch – *Perca fluviatilis* (Linnaeus, 1758) and in the Algeti River, new alien species for Georgia's waters Korean sharpbelly - *Hemiculter leucisculus* (Basilewsky, 1855) were determined. Finally, our observation allows to make a

conclusion, what impact did the HPP dam built in the 80s of the last century on the Algeti River fish species, which does not have fish pass.